თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №12

თბილისი, 28 ოქტომბერი, 2016

სხდომა დაიწყო 09.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ცინცაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ეკატერინე მაჩიტიძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვლადიმერ ყუშიტაშვილი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;

- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე;
- „თოფაძე – მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ – მალხაზ ლომსაძე;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო – ნინო გოგუაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი;
- „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ნინო გვარამია;
- „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – რატი თინიკაშვილი;
- „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 09:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. **პროკურატურის ანგარიში მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.**

2. **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და შესაძლო ზეწოლის ფაქტები:**

- თელავში გამგებლის მოადგილე დავით ნაპირელის მხრიდან საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის პედაგოგებზე განხორციელებული შესაძლო ზეწოლის თაობაზე;

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მიერ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე განხორციელებული შესაძლო ზეწოლის თაობაზე (სოციალური დახმარების მოხსნა, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირების პოლიციაში დაბარება და საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გაშვების საფრთხე);

- ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრებსა და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ხახუბიას შორის გამართული შეხვედრის თაობაზე;

- ახმეტა-თელავის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გელა სამხარაულის წინასაარჩევნო აგიტაციაში პოლიციის პოლკოვნიკის მონაწილეობის თაობაზე;

- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ვალერი გელაშვილისა და ხაშურის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძის მიერ ადგილობრივ საჯარო მოხელეებთან შეხვედრისა და არჩევნებში ხმის მიცემის სანაცვლოდ ხელფასების გაზრდის სავარაუდო დაპირების თაობაზე.

3. **სხვადასხვა.**

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მთავარი პროკურორის მოადგილეს, ბატონ გიორგი გაბიტაშვილს, წარმოედგინა ანგარიში საარჩევნო პერიოდში კომისიის მუშაობის ფარგლებში დაწყებულ გამოძიებებზე.

მთავარი პროკურორის მოადგილის განცხადებით, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 96 საქმეზე;

აქედან, სისხლის სამართლის 12 საქმეზე 19 პირი იქნა პასუხისგებაში მიცემული როგორც წინასაარჩევნო კამპანიისას, ისე არჩევნების დღეს და შემდგომ მომხდარ ინციდენტებზე. ამჟამად სასამართლოში არსებითი განხილვისათვის გადაგზავნილია სისხლის სამართლის 8 საქმე 9 პირის მიმართ. გარდა ამისა, 18 საქმეზე გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და, შესაბამისად, გამოძიება ამ საქმეებზე დასრულებულია. გამოძიება ამჟამად მიმდინარეობს 78 საქმეზე სხვადასხვა მუხლით (სსკ 125-ე მუხლით (ცემა), 187-ე მუხლით (სხვისი ქონების განზრახ დაზიანება), 177-ე მუხლით (ქურდობა), 151-ე მუხლით (მუქარა), 154-ე მუხლით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა – 1 ფაქტი), 162[1]-ე მუხლით (წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ცემა – 1 ფაქტი), 164[1]-ე მუხლით (საარჩევნო მიზნით ფულის გადაცემის და წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება), 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება) და ა.შ.).

ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, ასევე, დაამატა, რომ 8 ოქტომბერს მარნეულში 48-ე საარჩევნო უბანთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაკავებულია 6 პირი, რომელთაც სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. პატიმრობა აქვს შეფარდებული ჯიხაშკარის 79-ე უბანზე მომხდარ დანაშაულზე მხილებულ პირს, ხოლო ჯიხაშკარის 108-ე საარჩევნო უბანზე მომხდარ შემთხვევაზე ბრალდებული პირის მიმართ გამოყენებულია გირაო.

იუსტიციის მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიის სამდივნო სავარაუდოდ 8 ნოემბრისთვის (თარიღი შეიძლება შეცვალოს ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დროის მიხედვით) გამოაქვეყნებდა კომისიის საქმიანობის საბოლოო ანგარიშს, რისთვისაც მოუწოდა ყველა უწყებას, მათთან რეაგირებისათვის გადაგზავნილ განცხადებებზე დროულად წარმოედგინათ ინფორმაცია, რათა ანგარიშში განახლებული ცნობები ასახულიყო.

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მთავარი პროკურატურის წარმომადგენელს, ჯიხაშკარში მიმდინარე საქმეზე მოხდა თუ არა სხვა პირების იდენტიფიცირება. ბატონმა გაბიტაშვილმა განაცხადა, რომ საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა, ამ ეტაპზე სხვა პირთა იდენტიფიცირება და დაკავება არ მომხდარა.

აღნიშნულ თემაზე დამატებითი კითხვების არარსებობის გამო კომისიამ განიხილა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები, რომელთა ძირითადი ნაწილის შესახებ ინფორმაცია მედიამონიტორინგის შედეგად იყო მოპოვებული.

თელავში გამგებლის მოადგილე დავით ნაპირელის მხრიდან საჯარო სკოლისა და საბავშვო ბაღის პედაგოგებზე განხორციელებული შესაძლო ზეწოლის თაობაზე კომისიამ მოისმინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება, რომლის თანახმადაც, გამოკითხულ იქნა ქ. თელავის რესურსცენტრის ხელმძღვანელი. მისი ახსნა-განმარტების თანახმად, არ მომხდარა არც საჯარო სკოლის დირექტორების, არც მასწავლებლების დაბარება და მათზე რაიმე სახის ზეწოლა. შესაბამისად, ეს ბრალდება საფუძველს იყო მოკლებული.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელს, ქალბატონ ეკატერინე მაჩიტიძეს, რომ რეკომენდებულია, თუ გამოკითხავდნენ ცალკეულ პედაგოგებს და მათი გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდებოდა ზუსტი შეფასებები, ხოლო ზეწოლის ან მუქარის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, საქმის შესწავლაში ჩაერთვებოდნენ საგამოძიებო ორგანოები. ქალბატონმა ეკატერინე მაჩიტიძემ მზაობა გამოხატა და განაცხადა, რომ მოკვლევის შედეგებს უმოკლეს ვადაში მიაწვდიდა სამდივნოს.

შემდეგი საკითხი შეეხო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენლების მიერ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიმართ განხორციელებულ შესაძლო ზეწოლას. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ამომრჩევლებზე ზეწოლა ხორციელდება სოციალური დახმარების მოხსნისა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირების პოლიციაში დაბარების, აგრეთვე, საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გაშვების მუქარით. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს სწავლობს უფლებამოსილი უწყებები.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა შემდგომ მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, ბატონ ზაზა სოფრომაძეს. უწყების წარმომადგენლის განცხადებით, სამინისტრომ შეისწავლა ჭიათურაში მომხდარი ფაქტი სოციალური დახმარების მოხსნის შესახებ შესაძლო მუქარებზე. მიუხედავად იმისა, რომ მედიაში გავრცელებულ განცხადებაში არ იყო მითითება სოციალური დაცვის მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებზე, სამინისტრო მაინც დაუკავშირდა ადგილობრივი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შტაბის ხელმძღვანელობას და მოსთხოვა, შემდგომი რეაგირებისათვის მიეწოდებინათ კონკრეტული ინფორმაცია შესაძლო სამართალდამრღვევისა და იმ პირების შესახებ, ვის მიმართაც განხორციელდა მუქარა. პასუხად, მათ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტები. შესაბამისად, მოძიებული ინფორმაციით, განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, ბატონი შალვა ხუციშვილის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შემთხვევებზე თავდაპირველი განცხადება არის ხმაურიანი და საზოგადოებაში აჟიოტაჟის შემცველი, მას შემდეგ, რაც სამართალდამცველები გადადიან კონკრეტულ ქმედებაზე, განცხადების ავტორები გამომძიებელს ვერ აწვდიან დაზუსტებულ ინფორმაციას, თუნდაც კონკრეტულ სახელსა და გვარს; ხოლო განმცხადებლის პასუხი შემოიფარგლება იმით, რომ მომავალში დააზუსტებენ და მიაწვდიან ინფორმაციას. პრაქტიკამ აჩვენა, რომ, ძირითადად, არც შემდგომში მიეწოდება სამართალდამცველებს დაზუსტებული ინფორმაცია. ბატონი შალვას განცხადებით, სწორედ მსგავსი ხასიათის იყო ჭიათურაში მომხდარი ფაქტი.

თელავისა და ჭიათურის შემთხვევებთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი) – ხომ არ ფლობდა მისი სამსახური რაიმე დამატებით ინფორმაციებს. ბატონი ნიკოლოზის განცხადებით, პოზიცია არის მსგავსი – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ ამგვარი ფაქტების არსებობას.

ვინაიდან ცესკოს წარმომადგენელმა, არჩევნების მეორე ტურის წინა პერიოდთან დაკავშირებული გადატვირთული გრაფიკის გამო, ვერ მოახერხა სხდომაზე დასწრება, კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს გააცნო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, დღის წესრიგით განსახილველ საკითხებზე, მათ შორის, ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრებსა და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ხახუბიას შორის გამართულ შეხვედრასთან დაკავშირებით. ცესკო-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოფიციალურად საჩივარი არც ცესკო-ში და არც ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიაში არ შესულა. აღნიშნული ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა უწყებათაშორისი კომისიიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, ცესკო დაუკავშირდა ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას. მათ მიერ მოწოდებული ზეპირი ინფორმაციის თანახმად, ვიდეორგოლში დაფიქსირებულ პირთაგან ერთ-ერთი არის საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე და არა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, ხოლო მეორე – ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების შტაბის ხელმძღვანელი. რაც შეეხება მესამე პირს, იგი ნამდვილად იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, მაგრამ არა იმ დღეს, როდესაც ის ესწრებოდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან გამართულ შეხვედრას – ეს პიროვნება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ამ შეხვედრის გამართვის შემდგომ.

ფოთის მერიის ადმინისტრაციული შენობის სააგიტაციო მიზნებისთვის გამოყენების ფაქტი არ დაადასტურა ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი). მისი თქმით, შენობაში არაერთი დაწესებულება ფუნქციონირებს, მათ შორის, პარლამენტის წევრის ბიურო, და წინასწარი მოკვლევით, მსგავსი სახის შეხვედრა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არ მომხდარა.

ახმეტა-თელავის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გელა სამხარაულის წინასაარჩევნო აგიტაციაში პოლიციის პოლკოვნიკის მონაწილეობის თაობაზე სიტყვა გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ შალვა ხუციშვილს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით უწყების მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი: ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე (ლევან შაშიაშვილი) შვებულებით იმყოფებოდა კახეთში (სოფელ ხალაწნში – ნათესავთან). მას ნათესაური კავშირები აქვს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გელა სამხარაულთანაც (სიძე). იმ პერიოდში გელა სამხარაული სწორედ ამ სოფელში მართავდა ამომრჩეველთან შეხვედრას საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, რა დროსაც შაშიაშვილს მოუხდა სამხარაულთან შეხვედრა, მოკითხვა და მისალმება. მას არ მიუღია სააგიტაციო კამპანიაში მონაწილეობა. მოკვლევის შედეგად, ასევე, დადგინდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გამართულ სხვა შეხვედრებზე დასახელებული პირის მონაწილეობა არ ფიქსირდება, ასევე, არ მომხდარა მისი მხრიდან რაიმე სახის რესურსის გამოყენება.

თუმცა, როგორც ბატონმა შალვა ხუციშვილმა იქვე დაამატა, მომხდარ ფაქტს სწავლობს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და შსს დაელოდება შესწავლის შედეგებს, რის შემდეგაც მიიღებს გადაწყვეტილებას პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ბატონი შალვას განმარტებით, პოლიციელისთვის მკაცრად არის რეგლამენტირებული წინასაარჩევნო პროცესში მონაწილეობის წესები და შსს ამ წესებს მკაცრად იცავს. თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევებს, პოლიციის უკლებლივ ყველა რანგის თანამშრომლის მხრიდან ხდება მოცემული ქცევის წესების ზედმიწევნით დაცვა.

კომისიამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდგომი საკითხი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ვალერი გელაშვილისა და ხაშურის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძის მიერ ადგილობრივ საჯარო მოხელეებთან შეხვედრასა და არჩევნებში ხმის მიცემის სანაცვლოდ ხელფასების გაზრდის სავარაუდო დაპირებასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარის მითითებით, საკითხზე ნაჩვენები იქნა მედიაში გავრცელებული ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავდა შეხვედრის დროს გაკეთებულ ფარულ ჩანაწერს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა თეა წულუკიანმა სიტყვა გადასცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი), რომლის განცხადებით, შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის რამდენიმე თანამშრომელი, გაიმართა 22 ოქტომბერს, შაბათ დღეს, სასტუმროს დერეფანში, 10 წუთის განმავლობაში. მან აღნიშნა, რომ საუბრის ჩანაწერი დამახინჯებული სახით იყო წარმოდგენილი. ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციით, საჯარო მოხელეების მისამართით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულ თემას გამოეხმაურა ბატონი მალხაზ ლომსაძე („თოფაძე – მრეწველები, ჩვენი სამშობლოს" წარმომადგენელი). მისი განცხადებით, გელაშვილი ნამდვილად დაჰპირდა ადგილობრივ საჯარო მოხელეებს ხელფასების გაზრდას და ეს ინფორმაცია სხვადასხვა მედიასაშუალებამ გაავრცელა. ბატონი მალხაზის თქმით, ის ჟურნალისტი, რომელმაც აღნიშნული ჩანაწერი მოიპოვა, მზადაა საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობისათვის ფაქტის გამოძიების დაწყების შემთხვევაში.

კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოების საყურადღებოდ განაცხადა, რომ ეს ფაქტი მოსახლეობაში აჩენდა კითხვის ნიშნებს და აუცილებელი იყო მისი უფლებამოსილი უწყებების მიერ სათანადო წესით შესწავლა. მან იქვე ინფორმაციისთვის დაამატა, რომ საკითხს უკვე სწავლობენ ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისია და სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ვალერი გელაშვილის საკითხს შეეხო ქალბატონი ნინო გოგუაძეც („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენელი). როგორც მან აღნიშნა, ჩანაწერში არსებული საუბრის ნამდვილობის დასადგენად აუცილებელია მასალის იმ უწყებების მიერ შესწავლა, რომელთაც აქვთ ამისი უფლებამოსილება და შესაძლებლობა. ქალბატონმა ნინომ, ასევე, განაცხადა,

რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაძლო დარღვევების მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ყოველთვის ხდება მათ რაიონულ ორგანიზაციებთან; თუმცა, მისი თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, როგორც წესი, განსხვავებულია ხოლმე მათი რაიონული ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციისაგან და უმეტესობა სიმართლეს არ შეესაბამება. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ დარღვევების აღმოფხვრა მათ ინტერესში შედის, მაგრამ კონკრეტული კანონის დამრღვევი პირებისა და დარღვევის ადრესატთა ვინაობის შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო მათი მხრიდან ვერ მიიღება ხოლმე პრევენციული ზომები.

ამის შემდგომ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი შალვა ხუციშვილი, შეეხო წინა სხდომაზე განხილულ საკითხს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულალისში სკოლის მოსწავლეების ავტობუსით გადაყვანასთან შექმნილ პრობლემასთან დაკავშირებით და სიტყვა გადასცა ქალბატონ ეკატერინე მაჩიტიძეს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი). ქალბატონი ეკატერინეს განცხადებით, კომისიის თხოვნის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული რამდენიმედღიანი მონიტორინგის შემდეგად გამოირკვა, რომ ყულალისელი მოსწავლეები მძღოლს გადაჰყავდა მიკროავტობუსში არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის მიხედვით და რაიმე სახის დისკრიმინაციულ ქმედებას მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ბატონმა მამუკა ტუსკაძემ („დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია") განაცხადა, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილება არჩევნებში გამარჯვებულ საარჩევნო სუბიექტებს შორის პროპორციული სიით განსაზღვრული მანდატების განაწილების თაობაზე იყო დისკრიმინაციული და მისი პარტიის ინტერესების საზიანო. მან სთხოვა კომისიას, კომპეტენციის შესაბამისად, გამოიცეს ცესკო-ს მიმართ გარკვეული რეკომენდაცია და ამგვარად დარეგულირდეს მანდატების განაწილების საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, „პატრიოტთა ალიანსი" აპირებდა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას „საქართველოს საარჩევნო კოდექსში" არსებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. შესაბამისად, მართებული იქნებოდა, საზოგადოება და კომისია დალოდებოდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამასთან, კომისიის უფლებამოსილებაში არ შედიოდა მანდატების განაწილების შესახებ ამა თუ იმ ნორმის ხარისხის ან გამოყენების საკითხის შეფასება.

ქალბატონმა ნატალია ხოხიაშვილმა („ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის") კითხვით მიმართა კომისიას – დაიწყო თუ არა გამოძიება მისი ორგანიზაციის მიერ ინტერნეტში მოპოვებულ ვიდეომასალებზე (8 ოქტომბერს კენჭისყრის შენობებში შესაძლო დარღვევების ამსახველი კადრები), რომლებიც მიეწოდა სამდივნოს. ამასთან, იგი შეეხო გურჯაანისა („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" კოორდინატორის მუქარა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კომისიის წევრის მიმართ) და ახალციხის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შტაბის წევრის შესაძლო ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის

თანამშრომლის მხრიდან, ინციდენტს, სავარაუდოდ, შეესწრო სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი) ფაქტებს.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონი ნატალია ხოხიაშვილისა და დამსწრე საზოგადოების ინფორმირების მიზნით შინაარსობრივად ჩამოთვალა ვიდეომასალებში ასახული შემთხვევები და აღნიშნა, რომ ვიდეომასალები გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი") თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 22 ოქტომბერს განმეორებით კენჭისყრაზე კვლავ იჩინა თავი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არაკვალიფიციურობამ. ამასთან, მან მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კენჭისყრის დღეს სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნებისთვის. მისი თქმით, 8 ოქტომბერს გამოვლენილმა პროცედურულმა დარღვევებმა ცხადყო, რომ უწყებათაშორის კომისიას მართებდა, საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მიზნით შეემუშავებინა რიგი საკანონმდებლო წინადადებების პროექტები, რითაც მიმართავდა საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტს.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მოქმედი ხელისუფლების პირობებში კარდინალურად შეიცვლა ის მანკიერი პრაქტიკა, რომლითაც წინა ხელისუფლების დროს უწყებათაშორისი კომისია იმართებოდა. 2013 წლიდან უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება მიეცა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, ვისაც არჩევნებში თუნდაც მცირე სადამკვირვებლო გამოცდილება ჰქონდა; არცერთ პარტიას არ აქვს სხდომაზე მონაწილეობის შეზღუდვა. სწორედ ეს არის კომისიის ეფექტური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა ხაზი გაუსვა 2015 წლის შუალედურ არჩევნებზე უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივით სპეციალური საარჩევნო უბნის შექმნასთან დაკავშირებული რეგულაციების ცვლილებას, რითაც პრაქტიკულად გამოირიცხა სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო მოსამსახურეთა ხმებით მანიპულირება და მმართველი პარტიის მიზნებისთვის გამოყენება.

იუსტიციის მინისტრი დაეთანხმა ბატონი დანიელ დავითაშვილის განცხადებას საარჩევნო კანონმდებლობაში რიგ პროცედურულ საკითხებზე შესატანი ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე და სხდომაზე დამსწრეთ (ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს) მიმართა, 2016 წლის 15 ნოემბრამდე კომისიისთვის წარმოედგინათ საკუთარი იდეები და წინადადებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა საარჩევნო პროცესების, პროცედურების კანონით დადგენილი რეგულაციების დახვეწისაკენ.

აქვე ქალბატონმა თეამ მოიყვანა ერთი კონკრეტული მაგალითი საარჩევნო ყუთიდან ბიულეტენების გადმოყრისა და ხმის დათვლის არსებულ პროცესთან დაკავშირებით. მისი თქმით, საქართველოში აღნიშნული პრაქტიკა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული არ შეცვლილა და აუცილებელი იყო ახალ მოდელზე მუშაობა.

სამუშაო შეხვედრის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მობრძანებისა და გაწეული შრომისათვის.

მომდევნო სხდომა დაინიშნა 2016 წლის 4 ნოემბერს, 09:00 საათზე, რის შესახებაც კომისიის სამდივნო კომისიის სხდომაზე დამსწრეთ წინასწარ ინფორმირებას უზრუნველყოფდა.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – მამუკა ტუსკაძე;
- „თოფაძე – მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ – მალხაზ ლომსაძე;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო – ნინო გოგუაძე.

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ნატალია ხოხიაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

სხდომა დასრულდა 10:30 საათზე

კომისიის თავმჯდომარე: